საქართველო

სანოტარო აქტი
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა
"იმედი ჰაუს"-ის დაფუძნების შესახებ

რეესტრი №1-1850

ორი ათას შვიდი წლის ოცდაერთი ივნისი

ნოტარიუსი მარიამ გოგვაძე
ქ. თბილისი, ც. დადიანის II მ/რ., კორპ. №3
ტელ.: 69-58-97

ქ. თბილისი
2007

საქართველო

სანოტარო აქტი
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა
"იმედი ჰაუს"-ის დაფუძნების შესახებ

რეესტრი №1-1850

ორი ათას შვიდი წლის ოცდაერთი ივნისი

ნოტარიუსი მარიამ გოგვაძე
ქ. თბილისი, ც. დადიანის II მ/რ., კორპ. №3
ტელ.: 69-58-97

ქ. თბილისი
2007

საქართველო

რეესტრში რეგისტრაციის № ი-1850

სანოტარო აქტი

ორი ათას შვიდი წლის ოცდაერთ ივნისს, მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს მარიამ გოგვაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი ცოტნე დადიანის II მ/რ., კორპ. №3, მომმართეს მოქალაქეებმა:

1. პაატა ელიზბარაშვილმა, დაბ. 11.11. 1969 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი ბახტრიონის 13 ბ. 72, პირადობის მოწმობის№ გ 0181810, პირადი №01024017633 გაცემული საბურთალოს რ-ის შ/ს სამმართველოს მიერ, 09. 10. 1997 წელს.

2. შალვა ელიზბარაშვილმა, დაბ. 11.11. 1969 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი ბახტრიონის 13 ბ. 72, პირადობის მოწმობის № გ 0193283, პირადი №01024023505 გაცემული საბურთალოს რ-ის შ/ს სამმართველოს მიერ, 02. 04. 1998 წელს.

3. ავთანდილ თეთრაშვილმა, დაბ. 21. 02. 1981 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი ონიაშვილის 64, პირადობის მოწმობა № ა0213108, პირადი № 01024024664, გაცემულია საბურთალოს რ-ის შ/სამმართველოს მიერ 06. 07. 1998 წელს.

4. კახაბერ ხაბაზიშვილმა, დაბ. 14. 04. 1972 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას მე-2 კვ. კორპ. 15 ბ. 20, პირადობის მოწმობა № ბ 0822037, პირადი № 01009005154, გაცემული ვაკის საპასპორტო, მრ. და სარ. სამსახური, 29.12.2005 წელს.

5. კახაბერ ცინდელიანიმა, დაბ. 26. 10. 1981 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, ბორბალოს ქ. №6-8, პირადობის მოწმობა № გ 1060250, პირადი № 01017016755, გაცემულია მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, 17.05.2007 წელს.

6. ბადრი ჩოქურმა, დაბ. 01.01.1962 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №29, პირადობის მოწმობა № ბ 0145790, პირადი № 01008012445, გაცემულია ვაკის რაიონის შს. სამმართველოს მიერ. 02.12.1996 წელს.

7. მაყვალა ელიზბარაშვილმა, დაბ. 03.03.1939 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №25, პირადობის მოწმობა № გ 0441478, პირადი № 01024042014, გაცემულია ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს I გან. მიერ. 28.12.2003 წელს.

8. ელგუჯა ელიზბარაშვილმა, დაბ. 03.12.1930 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. 13, ბ. 78. პირადობის მოწმობა № გ 0532335, პირადი № 01024013103, გაცემულია ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს I გან. მიერ. 12.07.2004 წელს.

9. ომარ გურგენიძემ, დაბ. 09.03.1970 წელს, მცხოვრები ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. კორპ. 27, ბ. 22. პირადობის მოწმობა № ბ 0443923, პირადი № 01024001562, გაცემულია ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს I გან. მიერ. 4.02.2004 წელს.

10. ხათუნა მახათაძემ, დაბ. 22.07.1973 წელს, მცხოვრები თბილისი, ტაშკენტის 327, ბინა №22, პირადობის მოწმობა № დ 0337468, პირადი № 18001014929, გაცემულია ზესტაფონის შ.ს.ს გან. მიერ. 18.03.2002 წელს.

11. მაყვალა გურგენიძემ, დაბ. 02.04.1945 წელს, მცხოვრები თბილისი, ბახტრიონის ქ. 13. ბ. 84. პირადობის მოწმობა № ბ 0578087, პირადი № 01024046892, გაცემულია ვაკე-საბურთალოს შ.ს.ს I გან. მიერ. 16.09.2004 წელს.

12. კახა ჩაჩუამ, დაბ. 08.06.1970 წელს, მცხოვრები თბილისი, ვარკეთილი 3 , მ-4 მ/რ., კორპ. №425, ბინა №10, პირადობის მოწმობა № ბ 0271053, პირადი № 01013017240, გაცემულია სამგორის რ-ნ. შ.ს.ს მე-5 ქვეგანყოფილების მიერ. 22.11.1999 წელს.

13. ნათია გორდაძემ, დაბ. 16.07.1974 წელს, მცხოვრები თბილისი, დიღმის მასივი 4კვ. კორპ. 15. ბ. 40. პირადობის მოწმობა № ბ 0979993, პირადი № 01006004820, გაცემულია თბილისი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბის სამსახურის მიერ. 18.10.2006 წელს.

14. ოთარ გორდაძემ, დაბ. 02.10.1950 წელს, მცხოვრები თბილისი, დიღმის მასივი 4კვ. კორპ. 15. ბ. 40. პირადობის მოწმობა № ბ 0447183, პირადი № 01006002878, გაცემულია თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის შსს I განყოფილების მიერ. 20.12.2003 წელს.

15. ციცინო მემარნიშვილმა, დაბ. 30.08.1951 წელს, მცხოვრები თბილისი, ვოლოდარცკის 3. პირადობის მოწმობა № ბ 0119696, პირადი № 01024014174, გაცემულია თბილისის საბურთალოს რ-ნის შ/ს განყოფილების მიერ. 24.04.1996 წელს.

16. იაკობ ტუღუშმა, დაბ. 02.05.1982 წელს, მცხოვრები, ოზურგეთი, ბათუმის №43, პირადობის მოწმობა № გ 1056391, პირადი № 33001010987, გაცემულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის მიერ. 12.06.2007 წელს.

17. ლილი მგელაძემ, დაბ. 27.07.1953 წელს, მცხოვრები, ოზურგეთი, ბათუმის №43, პირადობის მოწმობა № ბ 1056391, პირადი № 33001068032, გაცემულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის მიერ. 12.06.2007 წელს.

18. ავთანდილ ტუღუშმა, დაბ. 02.04.1962 წელს, მცხოვრები, ოზურგეთი, ბათუმის №43, პირადობის მოწმობა № დ 1056391, პირადი № 33001013220, გაცემულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის მიერ. 12.06.2007 წელს.

მათ მოითხოვეს ამხანაგობის დამფუძნებელი აქტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მათი ნების გამოხატვის ნამდვილობა, რის შემდეგაც შევადგინე შემდეგი სანოტარო აქტი:

მუხლი 1.
ამხანაგობის სახელწოდება და დამფუძნებლები

1.1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის სახელწოდებაა: "იმედი ჰაუს"

1.2 ამხანაგობის დამფუძნებლები არიან: *პაატა ელიზბარაშვილი, შალვა ელიზბარაშვილი, ავთანდილ თეთრაშვილი, კახაბერ ცინდელიანი, ბადრი ჩოქური, მაყვალა ელიზბარაშვილი, ელგუჯა ელიზბარაშვილი, ომარ გურგენიძე, ხათუნა მახათაძე, მაყვალა გურგენიძე, კახა ჩაჩუა, ნათია გორდაძე, ოთარ გორდაძე, ციცინო მემარნიშვილი, იაკობ ტუღუში, ლილი მგელაძე, ავთანდილ ტუღუში, კახაბერ ხაბაზიშვილი.*
(მონაცემები მოცემულია ზემოთ)

მუხლი 2.
ამხანაგობის მიზანი

2.1. ამხანაგობის დამფუძნებელთა მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით იურიდიული პირის შეუქმნელად განსაზღვრული წესითა და ვადებში ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში -- „საცხოვრებელი სახლი“) და მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ სახლის, როგორც „ამხანაგობის" წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობის და განკარგვის განსახორციელებლად (მათი წილის შესაბამისად)
2.2 საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: ქ. თბილისი, *ბაგები—წყნეთის გზატკეცილი №29 და ბაგები—წყნეთის გზატკეცილი №29 მიმდებარედ ტერიტორიაზე,* რომლის მახასიათებლებია: 1. სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი – 1; სექტორი – ვაკე; კოდი – 14; კვარტალი №7, ნაკვეთის №1/12, ფართობი 642 კვ.მ., ნაკვეთის წინა №1, უფლება – საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო; 2. სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი – 01; სექტორი – ვაკე; კოდი – 14; კვარტალი №07, ნაკვეთის №01/010, ფართობი 600 კვ.მ.,

ნაკვეთის წინა №1, ნაკვეთის საკუთრების ტიპი –საკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო
2.3 საცხოვრებელი სახლის სართულების რაოდენობა, სახლში ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები დგინდება და ზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციით.

მუხლი 3.

დამფუძნებელთა შენატანები ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა: **კახაბერ ცინდელიანმა და ბადრი ჩოქურმა** - ამხანაგობა „იმედი ჰაუს“-ში შეიტანეს მათი კუთვნილი უძრავი ქონება, კერძოდ ბადრი ჩოქურმა ქ. თბილისში, ბაგები-წყნეთის გზატკეცილი №29-ში მდებარე 642 კვ.მ., მიწის ნაკვეთი და კახაბერ ცინდელიანმა გზატკეცილი წყნეთი №29-ის მიმდებარედ მდებარე 600 კვ.მ., მიწის ნაკვეთი.
აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე დასახელებულ პირთა საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან: 1. გაცემული 13.06.2007 წელს ბადრი ჩოქურის სახელზე, სარეგისტრაციო №1/14/7/1/12, განაცხადის რეგისტრაციის №78041/2007, თარიღი 13.06.2007; 2. გაცემული 30.05.2007 წელს კახაბერ ცინდელიანის სახელზე, საკადასტრო კოდი №01/14/07/01/010, განცხადების რეგისტრაციის №69318/2007-29/05/2007, მომზადების თარიღი 30/05/2007:

> მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების მესაკუთრეთა განცხადებით აღნიშნული უძრავი ქონება არ არის სადაო, არ არის ყადაღადადებული, რაც დასტურდება ასევე ზემოაღნიშნული ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან. ბადრი ჩოქურის უძრავ ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება.

ამხანაგობის დანარჩენმა დამფუძნებელმა წევრებმა: *პაატა ელიზბარაშვილმა, შალვა ელიზბარაშვილმა, ავთანდილ თეთრაშვილმა, მაყვალა ელიზბარაშვილმა, ელგუჯა ელიზბარაშვილმა, ომარ გურგენიძემ, ხათუნა მახათაძემ, მაყვალა გურგენიძემ, კახა ჩაჩუამ, ნათია გორდაძემ, ოთარ გორდაძე, ციცინო მემარნიშვილმა, იაკობ ტულუშმა, ლილი მგელაძემ, ავთანდილ ტულუშმა და კახაბერ ხაბაზიშვილმა* (მონაცემები მოცემულია ზემოთ) განაცხადეს, რომ მათი შენატანი ამხანაგობაში განისაზღვრება შემდეგნაირად: ისინი უზრუნველყოფენ მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას, უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლის მშენებლობას საჭირო სამშენებლო მასალით, მუშახელით, ტექნიკით, ასევე შემსრულებელთან (სამშენებლო ორგანიზაციასთან) დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხით.
3.1 დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ ამხანაგობაში მათ შენატანებს აფასებენ სულ 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარად.
3.2 დამფუძნებლები მე-3 მუხლში მითითებულ ქონებას ამხანაგობას გადასცემენ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.
3.3 დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ განხორციელებული შენატანები გახდება დამფუძნებელთა საერთო საკუთრება და თითოეულ მათგანს ექნება თანაბარი იდეალური წილი. წინამდებარე დაფუძნების აქტი არის საფუძველი საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთების ერთ მიწის ნაკვეთად გაერთიანებისა და გაერთიანებული მიწის ნაკვეთის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებად აღრიცხვისა. დაფუძნების აქტი საჯარო რეესტრს წარედგინება აქტის სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ.

მუხლი 4.

მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი.

4.1 თოთოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს მხოლოდ ყველა სხვა დამფუძნებლის წერილობითი თანხმობით. უარი თანხმობაზე დაიშვება მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას. წილის გადაცემა

აწის ნაკვეთი და სხვა) გასხვისებას. წილის გასხვისება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებასა და წინამდებარე დაფუძნების აქტში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, აგრეთვე საჯარო რეესტრში ადრიცხვას.
4.2 წილის გაყიდვის შემთხვევაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს მესამე პირისათვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
4.3 დამფუძნებელი რომელიც აპირებს წილის მესამე პირისათვის მიყიდვას ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ყველა დამფუძნებელს, შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წილის გამყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ვადა. თუ დადგენილ ვადაში უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე მხარე არ განახორციელებს თავის უფლებას წილის გამყიდველი უფლებამოსილია წილი მიჰყიდოს მესამე პირს.
4.4 დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე აქტიდან, არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირს.

მუხლი 5.
ამხანაგობის ხელმძღვანელობა

დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავჯდომარე. ამხანაგობის თავჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს – *პაატა ელიზბარაშვილი, დაბ. 11.11.1969 წელს თბილისში, მცხოვრები ქ. თბილისი ბახტრიონის 13 ბ. 72, პირადობის მოწმობის №გ 0181810, პირადი №01024017633 გაცემული საბურთალოს რ-ის შ/ს სამმართველოს მიერ, 09.10.1997 წელს.*
5.1 ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და სასამართლოში. ამხანაგობის დამფუძნებლების თანხმობის გარეშე დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით. მათ შორის შემდეგ გარიგებებს:
ა) საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობის საერთო მიზნებისათვის სესხებისა და კრედიტების აღება;
ბ) ექსპლუატაციაში ჯერ კიდევ მიუღებელ საცხოვრებელ სახლში იმ ბინებზე უფლების გასხვისება ან ვალდებულებებით დატვირთვა, რომელიც იქნება ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრება, ეს წესი არ ეხება უფლებას იმ ბინებზე, რომლებიც ბინის განაწილების შემდეგ იქნება დამფუძნებელთა ინდივიდუალურ საკუთრებაში და რომელიც წინასწარი ჩანაწერებით რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში;
გ) მესამე პირებისათვის თავისი, როგორც ამხანაგობის თავჯდომარის უფლებამოსილების გადანდობა(მინდობილობის გაცემა).
5.2 ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის;
5.3. ამხანაგობის თავჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.
5.4 ამხანაგობის ყველა დამფუძნებლის თანხმობით მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხზე: ა) ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ბინების განაწილება ამხანაგობის დამფუძნებელთა შორის; ბ) ამხანაგობაში დამატებითი შენატანების ოდენობის დადგენა.
5.5 ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.
5.6 თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.
5.7 დამფუძნებლები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია.
5.8 თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.
5.9 ამხანაგობის თავმჯდომარეს უფლება აქვს უარი თქვას ამხანაგობის ხელმძღვანელობაზე, რის შესახებ მან წერილობით უნდა აცნობოს სხვა დამფუძნებლებს.
5.10 ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ამხანაგობის გაძღოლის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი უხეშად არღვევს თავის მოვალეობებს.

5.11 ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლა საჭიროებს წინამდებარე აქტში ცვლილებების შეტანას;

მუხლი 6.
ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება

6.1 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება არის ორგანო, რომელშიც შედიან დამფუძნებელი წევრები.
6.2. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება მოწვევა საჭიროებისამებრ თავჯდომარის ან დამფუძნებელ წევრთა 1/4-ის მოთხოვნით.
6.3 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამფუძნებელ წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.
6.4 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:
6.4.1 ამხანაგობის ახალი თავჯდომარის არჩევა;
6.4.2. ამხანაგობის სხვა საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც არ შედის თავჯდომარის კომპეტენციაში.
6.5 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების საქმიანობას უძღვება ამხანაგობის თავჯდომარე.
6.6 მუშაობის საწყებამდე საერთო კრება ამტკიცებს თავჯდომარის მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს.
6.7 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრება უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო რაოდენობის 2/3.
6.8 ამხანაგობის ერთ წევრს აქვს ერთი ხმა, მიუხედავად მისი წილისა.
6.9 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების გადაწყვეტილება აისახება კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავჯდომარე.

მუხლი 7.
ბინების განაწილების წესი

7.1 საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების წინ დამფუძნებლები ვალდებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება, ბინების განაწილების შესახებ, საცხოვრებელი სახლი ექსპლუატაციაში მიიღება და საჯარო რეესტრში აღირიცხება ბინის გაყოფის აქტთან ერთად;
7.2 საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად;
7.3 ბინების გადანაწილების შესახებ შეთანხმება საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას.

მუხლი 8
ამხანაგობიდან გასვლის წესი

8.1 თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებაში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის;
8.2 ამხანაგობიდან ერთ ერთი დამფუძნებლის გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები ერთხმად არ დააგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას. გამსვლელ დამფუძნებელს უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან, ამასთან მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები, თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს გამსვლელი დამფუძნებელი ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს გადაუხადოს თავისი წილის შესაბამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორის წინაშე უცვლელია.

მუხლი 9
დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

9.1 ამხანაგობის თითოეული წევრის პასუხისმგებლობა ერთმანეთთან ურთიერთობაში განისაზღვრება თავიანთი წილების შესაბამისად.

მუხლი 10
ამხანაგობის ვადა

10.1 ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს საცხოვრებელი სახლისექსპლუატაციაში გადაცემისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
10.2 ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:
ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი;
ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით;
გ) ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის გარდაცვალება არ იწვევს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტას. მის ადგილს იკავებს მისი მემკვიდრე (მემკვიდრეები).

მუხლი 11
დასკვნითი დებულებანი

11.1 წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.
11.2 ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე, ამასათან, ცვლილებები უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.
11.3 წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს იმ მუხლების გაუქმებას, რომლებითაც დადგენილია დამფუძნებელთა ვალდებულებები ამხანაგობის საქმიანობის შემთხვევაში.
11.4 წინამდებარე აქტი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ექვს ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ. თბილისის ნოტარიუს მარიამ გოგვაძის, სანოტარო არქივში.
11.5 წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

გადახდილია სახელმწიფო "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად 302.50 ლარი.
ნოტარიუსმა დამფუძნებლებს წაუკითხა წინამდებარე აქტი, დამფუძნებლებმა წაიკითხეს იგი დანართებითურთ, მოიწონეს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადი ხელი.
დამფუძნებლები:

ნოტარიუსი: მ. გოგვაძე

